

სასკოლო გეოგრაფიის სწავლების თანამედროვე მეთოდები

დემეტრე მოდებაძე

ელ-ფოსტა: demetre.modebadze@tsu.ge demetre.modebadze833@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #3, 0179, თბილისი

მაშინ როცა, ჩვენ, გეოგრაფიის, როგორც სასკოლო საგნის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რომ საკუთრივ გეოგრაფია გულისხმობს, რომ ის ორიენტირებულია სივრცესა და პროცესზე, როცა სურვილი გვაქვს მოსწავლემდე საკითხი სრულყოფილად მივიტანოთ, რათა მას წარმოდგენილი თემის ირგვლივ სრული მოდელირება ჰქონდეს. მოსწავლეებში ჩვენ უნდა დავინახოთ პოტენციური ადამიანები, რომლებიც აირჩენ ამ პროფესიას და ქვეყნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს რომელსაც ესაჭიროება გამოცდილი კადრები შეავსებენ არსებულ პროფესიონალთა სიმცირეს. აუცილებელია, ეს ყველაფერი არ იყოს დარჩენილი საკლასო ოთახის სივრცეში და მას სივრცის აღქმის და პროცესის არა ზეპირსიტყვიერი გადმოცემის, არამედ უშუალოდ ხილული აღქმის კომპონენტი დაემატოს. რაც შეკრავს სრულ სურათს და როგორც სწავლების მეთოდი ასევე მიდგომა საგნისადმი, შედეგად მოგვცემს მოსწავლეთა მეტ ჩართულობას, თემისადმი მეტი ინტერესის გაღვიძებას, პრობლემის აღქმის და მისი მოგვარების, აღმოფხვრის სურვილს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ტექნოლოგიებით დაინტერესებას. თავისთავად ყოველივე ეს გააქტიურებს იმ დამატებით უნარებს, რაც მოსწავლეს მისცემს ბიძგს თემასთან დაკავშირებით პერსონალურად მოახდინოს კვლევის კომპონენტის გააქტიურება, მონიტორინგის თუ სტატისტიკური ანალიზის გზით. ამის შემდგომ კი იწყება მთელი რიგი გეოგრაფიული სწავლების მეთოდების გამოყენება, რომელიც გამოიყენებოდა საუკუნეების უკან და იყენებენ აქტიურად

დღესაც, ასევე იმ მეთოდებისა, რომელიც სრულიად ახალია თანამედროვე სამყაროსათვის და ყოველდღიურობაში ხდება მათი დახვეწა. არსებობს ტრადიციული და არატრადიციული მეთოდების ერთიანობა. მეთოდებისა, რომელთა გამოყენება სხვადასხვა სწავლებისა და კვლევისათვის სხვადასხვა მნიშვნელობისაა. არატრადიციული მეთოდები სიახლეა, არა მხოლოდ სასკოლო გეოგრაფიაში, არამედ რიგ შემთხვევაში უმაღლეს განათლებასა და კვლევით საქმიანობაში. სასკოლო განათლებაზე მორგებული საშუალებების მიწოდებით, შესაძლოა მოსწავლეთა მეტი დაინტერესება და ჩართულობა გამოვიწვიოთ. მათი ინტერესების გათვალისწინებით კი, შევძლებთ ტექნოლოგიების საკითხისადმი მიდგომით სრულიად ახალი ინოვაციური მოდელების შექმნას და დატესტვას.